

"ყველა, ვინც ეწინააღმდეგება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას – ქვეყნის მტერია"



დედაქალაქის მერის აზრით, ჰესების წინააღმდეგ მიზანმიმართული პროპაგანდა მიმდინარეობს.

„თუ გვინდა ქვეყანა განვითარდეს და წინ წავიდეს, მაქსიმალურად რაციონალურად უნდა იქნას წყლის რესურსი ათვისებული. ხუთი წლის განმავლობაში ვიყავი ენერგეტიკის მინისტრი და ამდენი პროექტი, ჰიდროელექტროსადგური, ქარის ელექტროსადგური თბოელექტროსადგური, ქვესადგურების პროექტი, რომელიც ევროპული სტანდარტით გავაკეთეთ, არასდროს გაკეთებულა საქართველოში.

გური მწყდება, რომ დღეს ამ მიმართულებით გარკვეული პროექტების განხორციელება შეფერხებულია. ჩვენი ქვეყანა განვითარებადია, ყოველწიურად ეკონომიკური ზრდა გვაქვს, შესაბამისად, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა იზრდება, რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნებზე. ყველა, ვინც ეწინააღმდეგება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას, ენერგეტიკურ განვითარებას მართლვად რომ ვთქვა, არის ქვეყნის მტერი“, – განაცხადა კახა კარაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, რაც პანკისში მოხდა კატეგორიულად მიუღებელია და კანონთან შესაბამისად ყველას პასუხი მოეთხოვება.

„სამწუხაროა, რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე. ჩემი მინისტრობის დროს ბევრი პროექტი განვახორციელეთ. პანკისის ხეობაში იყო გაზიფიცირების სამუშაოები, ელექტროფიცირება, ასევე მრიცხველების დამონტაჟება. იყო სოფლები, რომლებსაც ელექტროენერჯია არ მიეწოდებოდა. როცა ჩავდიოდით და ამ პროექტებს ვახორციელებდით, ყოველთვის ძმობისა და მეგობრობის მეტი არაფერი ხდებოდა, სუფრის გაშრით დაწყებული, ძმაკაცობით დამთავრებული. განწყობა და დამოკიდებულება. რაც ვნახეთ კატეგორიურად მიუღებელია და ყველაფერს ცდება. არავის ეპატიება პოლიციის წინააღმდეგ ასეთი აგრესიური ქმედებები. მეტი კომუნიკაცია და მუშაობა სჭირდება ამ საკითხს. ეს დღეს და გუშინ არ დაწყებულა.

ვხედავთ მიმდინარეობს მიზანმიმართული პროპაგანდა ჰესების წინააღმდეგ, ეს კატეგორიურად მიუღებელია. დღეს გვაქვს ელექტროენერჯიის დეფიციტი, როცა გვაქვს წყლის დიდი რესურსი, უნდა მოხდეს ამის რაციონალური გამოყენება. რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული რუსეთზე, აზერბაიჯანზე, როცა ჩვენ ჩვენი რესურსი გვაქვს. გვაქვს იმის შესაძლებლობაც, რომ გავიტანოთ აქ წარმოებული ელექტროენერჯია თურქეთში და თურქეთის გავლით სხვა ქვეყნებში, – განაცხადა ვახა კარაძემ.